საჯარო ბიბლიოთეკა
44
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 1-ლი № 29

ორშაბათი 6 ნოემბერი 1917

რედაქტორი:
კატო მიქელაძე

გამომცემელი
ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე.
ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს
რედაქცია არ დაბეჭდავს.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი პუშკინის ქ., № 12, სახლი მეიშვილისა შესახვლელი ჭიშკრიდან ეზოში.

ფასი 15 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 15 კ.

ქალებო, ემზადეთ დამფუძნ. კრებისათვის!

ქუთაისი 6 ნოემბერი

მიუხედავათ ატეხილ სამოქალაქო ომისა, რომლითაც უკიდურესი მემარცხენე ფრაქციები შეხვდენ დამფუძნებელ კრების არჩევნებს მოსალოდნელია, რომ ის, მაინც აღნიშნულ დროს შესდგება.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს უდიდესი საკითხი. მან უნდა ჩაუყაროს ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მტკიცე საძირკველი დ შეიმუშაოს მისი ძირითადი კანონები ჩვენ, ქალების წინ საკითხი დგება: მიიღებს, თუ არა ეს ძირითადი კანონები რევოლიუციის მიერ აღიარებულს ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქობრივე უფლებას, იცნობს კი მას სამართლიანათ? თუ რომ დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს ისეთს კანონებს, რომელშიაც ორთავე სქესის პიროვნული და მოქალაქობრივი უფლობა სრული სწორ უფლიანი იქნება, როგორც სახალხო წარმომადგენლობაში, ისე ადგილობრივ თვით-მართველობაში, მაშინ ჩვენი მიზანი მიხწეული იქნება და თანასწორ უფლებიანი ქალები შეუდგებიან თავიანთ ამხანაგ მამაკაცებთან ახალი ცხოვრების შენებას! ამით ქალები თავიდან ავიშორებთ მრავალ დავიდარებას და ენერგიისა და ძალ ღონის დახარჯვას სწორუფლიანობისათვის ბრძოლაში. წინაღმდეგ შემთხვევაში, თუ რომ დამფუძნებელი კრება უარყოფს ან შეზღუდავს ქალთა უფლებას მაშინ ჩვენ მოგველის ყოველ გვარი შევიწროება, რომელიც გვაიძულებს შეუდგეთ ჩვენი უფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლას. მომავალი დამფუძნებელი კრება აშკარად დაამტკიცებს, თუ რამდენათ მამაკაცები აფასებდენ დედაკაცების დახმარებას და მათ ღვაწლს განმათავისუფლებელს ბრძოლაში. დღევანდელი სხვა და სხვა ფრაქციების წარმომადგენელნი ჩვენ გვანუგეშებენ, რომ ქალები სრული უფლებიანი ვართ. შეიძლება ზოგი მათგანის ასეთი განცხადება გულწრფელიც იყოს. მაგრამ მათ ავიწყდებათ ის, რომ რაც ადვილი გადასაწყვეტია ამ თუ იმ პარტიულ ლიდერისათვის, აგრე ადვილი გადასაწყვეტი არ არის ის ისტორიულად ედრობითი სქესზე ბატონობას ჩვეულ უმრავლესობისათვის. რაც განვითარებამ და შეგნებამ დაანახვა პირველს, უვიცობამ და ბნელმა დაუმალა მეორეს. ამისათვის მთელი ყურადღება დღევანდელ ქალებისა, ვისაც სურს ადამიანური თავისუფალი ცხოვრება, მიქცეული უნდა იყოს მაზე, რომ მოიპოვონ ხალხში რაც შეიძლება მეტი და მეტი მომხრენი ქალთა უფლებისა. მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ მათ, რომ ხალხის წარმომადგენლებში, რომელიც ზემო აღნიშნულს ძირითად კანონებს შეიმუშავებენ არჩეულ იქმნას მეტი მომხრენი ქალთა სწორუფლებიანობისა.

და ამათ რიცხვში თვით ქალებიც, როგორც უფრო ნათლად გამომხატველი თავიანთი სქესის ტანჯვისა, რომელსაც ისენი განიცდიან უუფლებო ცხოვრებით.

ჩვენ ვიხილეთ ამა, თუ იმ ფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატების სია. მაგრამ არც ერთი ფრაქციას ქალთა კანდიდატები იმ ადგილზე არ აღუნიშნავს, რომელით არჩევა შესაძლებელი იყოს. ყველანი თითქო შესთანხმდენ იმაში, რომ ქალები სიის ბოლოში მოექციათ და მით არც არჩეული ყოფილიყვენ. დღეს როდესაც კავკასიაში მცხოვრებ ქალებს უნდა ეთქვათ თავის პირველი სიტყვა და გულის ტკივილი ეს საშვალება მოუსპოთ მათ სხვა და სხვა სოციალისტურმა პარტიებმა. რომელთ გავლენა ეგრე თვალ საჩინოა ჩვენს ქვეყანაში. მათი წვრილ წვრილი წარმომადგენელი კი უფრო შორს მიდიან და სურთ ქალებს წაართვან, თვით უკანასკნელი ღონისძიება თავის თავის დაცვისა და სადაც კი გაუვათ ხელს უშლიან ქალთა კავშირებს და ორგანიზაციების მოწყობას ჩვენ დაბა ქალაქებში- ყველა ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართველ სოციალისტ მამაკაცთა უმრავლესობა არ არის კეთილათ განწყობილი ქალთა სწორ—უფლიანობისადმი, და სრულიად სახეში არ ღებულობენ მას, თუ როგორს ძლიერს ნიადაგს უმზადებენ ქართველ ქალთა მოძრაობას მომავალში.

თუ მათ შესძლეს თავიანთი გულუბრიყვო ამხანაგ ქალების შეჩერება დღეს, იმ დაპირებით, რომ სულ ერთია ეხლა ქალი და ვაჟი ერთნაირი უფლებით არის აღჭურვილი„ო, მათ არ უნდა ავიწყდებოდეთ ის უეჭველი მომლენა, რომ თუ დამფუძნებელი კრებისა და რევოლიუციონური მთავრობის აზრი ქალთა საკითხის გადაწყვეტის დროს არ შესთანხმდა და ქალებისათვის მათი დაპირება არ გამართლდა, რუსეთისა დ საქართველოს სოციალისტები ამათოთ ფიქრობენ, რომ მუშა ქალები სოციალიზმის ლოდინით მონობაში დარჩენ და როგორც დღეს მათ გულხელ [illegible] აცდევინებენ დამფუძნებელ კრებამდე, ასეთი ლოდინით შეაჩერონ ისენი სოციალიზმის განხორციელებამდე.

ცხადია ქალები როგორც რუსეთში, ისე ჩვენში შეუდგებიან თავიანთი ადამიანური უფლებისათვის შეუპოვარს ბრძოლას. ამას აიძულებს მათ უფლებრივი თვით შეგნება, რომელსაც ისენი მიღებენ რესპუბლიკალურ სახელმწიფოში. და რამდენათ ქართველი სოციალისტები სცდებიან დღეს, რომ ხელ უშლიან ქალთა ორგანიზაციებს, ქალთა მოქალაქეურ შეგნებას და საქმიანობას [illegible] შეცდომას მათ მომავალი დაანახვებს.

ჩვენ კი მოვაგონებთ მათ, რომ სანამ კანონის და სამართალს წინაშე სქესთა განსხვავება იარსებს, მანამდე არც შესაძლებელია მათი ინტერესებს ერთნაირობაც.

და თუ მათ სურთ, რომ პროლეტარ ქალ ვაჟის ინტერესი ერთი და იგივე იყოს, ისენი დღეს იმის ცდაში უნდა იყვნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ ქალები არ დასტოვოს მონობაში, იმ დროს როდესაც ის მამაკაცების სრულ მოქალაქობრივ თავისუფლებას განამტკიცებს. ასეთს ცდასა და სურვილს მათში, ჩვენ, ჩვენი ადამიანური უფლებისათვის დაინტერესებული ქალები დღეს ვერა ვხედავთ.

მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი.

დღევანდელს მამაკაცთა სოციალისტების უმრავლესობას, რომ კითხოთ, თუ რა აზრით უყურებენ ისენი ქალთა სწორუფლიანობას, ასეთს პასუხს მიიღებთ: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისი, რომ ქალები სწორუფლიანი იყვნენ ჩვენთან, მხოლოდ გვაშინებს ის მოფიქრება, რომ თავიანთ უფლებით ქალები რეაქციას გააძლიერებენ, რადგან ბუნებრივათ, თუ ისტორიულად ისენი კონსერვატორები არიან“ო. ასეთი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები თუმცა არ მოუციათ ქალებს მათვის, არც იმ ქვეყანაში, სადაც ქალები სწორუფლიანი არიან და არც იქ, სადაც მონებათ ირიცხებიან, მაგრამ თავიანთი ანტისუფრაჟისტული აზრი და შეხედულობა მაინც სურთ რომელიმე ბრალდებაში გახვიონ და მით თავიდან აიშორონ, მათვის არასასურველი ქალთა სწორუფლიანობა.

დღევანდელს ბოლშევიკების საქციელს, რომ ვაკვირდები, რომლებიც თავიანთ აჟანებულს სურვილებს ვერ იკერენ, ვერც ქვეყნის დამღუპობის საშიშროების წინაშე და ვერც გარეშე მტრის შემოსევის დროს, ვფიქრობ, რომ მოვალეობის შეგნებას ზემო აღნიშნული სოციალისტები კონსერვატიზმს უწოდებენ.

და ამ მხრივ თუ გნებავთ, ქალები, მართლაც რომ კონსერვატორები ვართ. ჩვენ გვძულს და გვეზიზღება სისხლის ღვრა, არა მისთვის, [illegible] (ვერ ისეთი ბრძენი არ მოუხდენია მამაკაცს, რაც ქალს არ შესძლებოდეს), არამედ მისთვის, რომ ჩვენს კაცთმოყვარე ბუნებას ის სძაგს. ჩვენს ესთეთიკურს გრძნობიერებას მკვლელთა სიმარდე, რასაც მამაკაცები სიგმირეს ეძახიან, სიმახინჯეთ ეჩვენება. ჩვენ ქალები დროსა და სივრცეს ანგარიშს ვუწევთ და ისეთს რამეს წამოვაყენებთ ხოლმე დღიურ საკითხად, რისიც განხორციელება დაუყოვნებლათ შესაძლებელია. ჩვენ ერთის ბედნიერებას, მეორეს უბედურობაზე არ ვაშენებთ და არც ჩვენს პირად ბედნიერებას შევსწირავთ უკანასკნელს. ასეთი ზნეობრივი ანგარიშით იმის თქმა არავის შეუძლია, რომ ქალები მოკლებული ვიყოთ უმაღლეს იდეალს და მხოლოდ დღიურ პროგრამაზე ვზრუნავდეთ. მხოლოდ როცა ჩვენ ვისახავთ მიზნათ რთულსა და საზოგადო მნიშვნელოვანს საკითხს, ჩვენ გვსურს მისდა განსახორციელებლათ ნიადაგიც მომზადებული იყოს, და როცა ასეთს დავინახავთ, იქ არც თავის განწირვას დავერიდებით. მართლაც, ვის უფრო აწუხებს კაპიტალისტური ცხოვრების უკუღმართობა, მისი ყოველ გვარად გამხრწნელი თვისებებით, თუ არ მშრომელ ქალებს? და ვინ უნდა იყოს უფრო დაინტერესებული სოციალიზმის, რაც შეიძლება მალე განხორციელებაში თუ არ ქალები?

მაგრამ, რა კონკრეტიული შინაარსის უნდა იყოს დღევანდელი სოციალიზმი, როცა ხალხი არც გონებრივათ, არც ზნეობრივათ და არც შრომის უნარით სავსებით მომზა-

დებული არ არის. კერძო საკუთრების მარადისობის დამცველნი სოციალიზმს განუხორციელებელ ქიმერათა სთვლიან. ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრიდან, მაგრამ ამავე დროს შორსა ვართ დღეს დღეობით კომუნის შემოღებიდანაც. და თუ მამაკაცების ერთი ნაწილი, მაინდამაინც ამას მოითხოვენ, ეს აიხსნება არა მათი რადიკალობით, არამედ მათი სულმოკლეობით. და ამ მხრივ ჩვენ, ქალები ყოველთვის კონსერვატორები დავრჩებით.

რიონელი ქალი.

საუბარი მუშა ქალებთან.

IV.

დიდი ხანია დებო, თქვენთან არ მესაუბრია, დღეს კი შემთხვევა მეძლევა თქვენთან ვიბაასო და გადმოგცეთ ის, თუ რა ხდება თქვენს ირგვლივ.

ყველამ კარგად უწყის თუ როგორ დაიწყო ძლევა მოსილი დიდი რუსეთის რევოლიუცია. მიუხედავათ იმისა, რომ მასში დიდი წილი ქალებს ედვა, მამაკაცებში მოექცნენ სათავეში და დაიწყეს მართვა სახელმწიფოსი.

მართლია აქა იქ ერია თითო ოროლა ქალიც, მაგრამ ეს უფრო სანიმუშოთ იყო, რომ უფლება აყრილ სქეს გული არ დასწყვეტოდა და მეტი არაფერი.

ასე თუ არა რა ძალას წარმოადგენს 20—25 მამაცების ხმებში ერთი ანუ ორი ქალის ხმა? სრულიადაც არაფერს! და ქალი რა რიგ ჭკუა-გონებით არ იყოს აღჭურვილი მისი სამართლიანი სიტყვა ამა თუ იმ კითხვაზე უნაყოფოთ ჩაიარს, ვინაიდგან მას არავინ მხარს არ დაუჭერს.

განა შეიძლება სალ აზრს დედაკაცისას მამაკაცმა მხარი დაუჭიროს?. მე კი ვიტყვი, რომ არა!

ყველა მამაკაცები თვისი „მეს“ ირგვლივ ტრიალებენ, დედაკაცებმა კი ის „მე“ მამაკაცების გავლენით დიდი ხანია დაკარგეს და მამაკაცების მახინჯ და სასტიკ აზრის გარშემო ვით ჯარა ტრიალებენ.

დღეს რას ვხედავთ?

იმას რომ სოციალისტები ქვეყნის გამგენი ამა თუ იმ პარტიისა, ერთი მეორეზე ილაშქრებენ.

და ამ საზარელ სურათის წინაშე თქვენ სდგეხართ მშრომელნო დებო, და დედებო.

თქვენ ანგარიშს არავინ გიწევთ. და განა შეიძლება თქვენი დაფასება? ანგარიშის გაწევა?

არა!

რომ დაგაფასონ, თქვენ რომ ანგარიში გაგიწიონ, თქვენში ძალას უნდა ხედავდენ.

ძალა კი ერთობაშია, მთლიანობაში თქვენში ამისდაგვარი ჯერ ჯერობით არ არის რა, თუ არ მივიღეთ მხედველობაში აქა იქ უფერულ, მკრთალ ქალთა კავშირებს, რომლებსაც მოპირდაპირე სქესი, ვით მშიერი ძერა წიწილს ისე შესცქერიან და ლამობს, მის ჩაკრობას.

მათ რა გაუმტყუნო. ისინი ხომ თავის ბატონობის დაცვას ღ მის ხელიდან გაშვებას უფთხიან. ეს ასეც უნდა იყოს, აქ გასაკვირველი არა არის რა.

მაგრამ რა უნდა ვსთქვა იმ მოღალატე დედაკაცების პიროვნებაზე, რომლებმაც თავისი „მე“ დიდი ხანია დაუკარგავთ და დღეს კი საერთოდ სხვების წმინდა სახელს შეურაცყოფენ?

მათ არ იკმარეს ის რაც ჩაიდინეს და დღეს მამაკაცებთან ერთად ქალთა წრის გაქრობას ლამობენ.

აი ამ მოღალატე ქალებზე მინდა სულ მცირე რამ გაგაცნოთ, და თავი დავანებოთ იმ უმაღლეს დანიშნულებაზე საუბარს, რომლებსაც მათი ჭკუა გონება ვერ მიწვდება.

ყველამ კარგათ იცით მშრომელო დებო, დედებო, რომ რა სულ შემხუთავი ძველი მთავრობა დაეცა, ჩანადგურდა, მოხდა კრება ქ. მოსკოვში რკინი გზის დელეგატებისა, სადაც მოსამსახურე ქალები თუ არ ვცდები სულაც არ იყო არჩეული. ყველა რკინის გზების მოსამსახურეები რუსეთისა ამ დელეგატთა სიეზდმა დაყო 14 ნაწილად. სხვათა შორის პირველ ნაწილში მოსამსახურე მამაკაცს ეძლევა 60 მანეთი, ხოლო ამავე ნაწილში მოსამსახურე ქალს 40 მანეთი, ესე იგი 20 მ. ნაკლები.

თქვენ მოგეხსენებათ და თვალიდაც ყველა თქვენთაგანს უნახავს, ქალი კონდუქტორი, რომელიც მის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მათი რიცხვი მრავლად იყო თითქმის უმეტესობა მამაკაცებზე და დღეს რას ვხედავთ

იმას რომ მათი რიცხვი დღეს თითზე ჩამოითვლება. ნუ იტყვით, თურმე მათ თანდათანობით აცლებენ და არის განკარგულება [illegible] ადგილი მამაკაცებით [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მსახურობენ ქალები აქა თუ იქ კანტორებში აქაც დაფასება არა აქვთ. 10—11 თვეს მსახურობენ და დღესაც ვერ მოსწრებიან შტატებში ჩარიცხვას.

ზემო მოყვანილი სიტყვების შემდეგ, გეკითხებით ქალბატონებო, რორომლებიც ყიდით თქვენს დებს და მარტო მამაკაცების პიროვნების აღსადგენად შრომობთ, რომლებიც ფიქრობთ თქვენი შეგნებული დების, წინსვლის შეჩერებას, გაგვთ უფლება მიანიჭებული? გაქვთ უფლება, რომელიც გათანასწორებთ მამაკაცებთან ერთად?

თქვენ ამაზე პასუხს ვერ მიგებთ! და თანაც უფლებიანი მამაკაცების ჯაშუშობას კი ეწევით! მშრომელო დებო, დედებო. თქვენ ყველას გაგვეგებათ გაზ. „ხმა ქართველი ქალის“ მეოხებით, თუ რა პირობებში შეიკრა ქალთა კავშირი ქ. სამტრედიაში. მოწინავე ქალებმა წამება განიცადეს: ზოგს საყვედური გამოუცხადეს, ზოგს პარტიიდან გაძევებას დაემუქრეს და ვინ იცის რით არ გაუმასპინძლდენ.

მაგრამ მათმა უანგარო შრომამ ნაყოფი გამოიღო და ქალთა-წრეს საძირკველი ჩაეყარა.

მტრები ჩაჭრენ.

მოწინავე დებმა განაგრძეს უანგარო მუშაობა. პარტიაში მამა-

ახალი ჩვეულების განვითარება.

ექიმი ქალი მ. ი. პოკროვსკაიასი.

I.

ახალი ჩვეულების სარგებლობა.

საკითხი მოზარდ თაობის ფიზიკურ აღზრდისა დიდი ხანია აინტერესებდათ მრავალ გამოჩენილს ხალხს. რუსსო აკუთნებდა ჰიგიენას დიდათ მნიშვნელოვან ადგილს თავის ემილის აღზრდაში. ის იწყებდა უკანასკნელის აღზრდას ფიზიკურად პირველ დღეებშივე და აძლევდა მას დიდ მნიშვნელობას.

„მე არ მსურს ტვირთათ მაწვეს თავზე ავათმყოფი, სუსტი ბავშვი, — ამბობდა ის, — თუნდათ მან იცოცხლოს 80 წლამდე. მე არ მსურს ვზრდიდე ისეთი გაზრდილი, რომელიც უსარგებლო იქნება თავის თავისთვის და სხვისთვისაც, რომელიც მხოლოდ იმის ფიქრში იქნება, რომ თავს მოუაროს და სხეული, რომლისა ზიანს მოუტანს მის სულიერ გაწრთვნას. სხეულს უნდა ჰქონდეს ძალა, რომ ემორჩილებოდეს სულს. კარგი მოსამსახურე მაგარი აგებულობის უნდა იყოს.

ჯუიო ამბობდა, რომ აღზრდის მიზანი უნდა იყოს ყოველგვარი ადამიანური თვისების განვითარება ბავშვში, რომელიც კი სასარგებლოა კაცობრიობის მოდგმისათვის; და გაფრთხილება ისეთი ინსტინკტის და მიდრეკილობის განვითარებისა, რომელიც ასეთს მიზანს არ შეეთანხმება. აღზრდის საკითხს წარმოადგენს ისეთი საშვალების გამონახვა, რომელიც დაგვეხმარება ჩვენ სრულიად ჯანმრთელ ინდივიდთა აღზრდაზე, რომელთაც ჰქონდესთ, რაც შეიძლება მეტად განვითარებული ზნეობრივი და ფიზიკური ძალა და მით გამოსადეგნი კაცობრიობის პროგრესის ხელით შესაწყობილად.

გუიო უპირველეს ადგილს აძლევს აღზრდაში ჩვეულებას. მისი აზრით, ჩვეულება არის ცხოვრების წესის საძირკველი, მისი კანონი და აღმზრდელობითი დასაწყისი, ფორმა სავალდებულო, როგორც ნივთიერებისთვის, ისე არსისათვის. ის კითხულობს, იქნებ ერთდება კიდეც ყველა კანონები და მათ შორის ბუნების კანონიც ჩვეულებაში“ო? ჩვეულება ბატონობს ჩვენს ცხოვრებას. მხოლოდ მისი წყალობით ჩვენ ვსწავლობთ სიარულს, მუშაობას, კითხვასა და წერას. ადამიანი წარმოადგენს მონას ყოველგვარ ჩვეულებისას. იშვიათად ის აკეთებს რამეს ახალსა და უჩვეულოს. ჩვეულების მაზე ბატონობა ყოველ ნაბიჯში სჩანს.

რომ დავაკვირდეთ ცხოვრებას, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვეულობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა პროგრესისათვის და ჩვენი მოხერხებისათვის. რა მოუვიდოდა კაცობრიობას, თუ რომ ხალხს არ ჰქონოდა ნიჭი ჩვეული მოძრაობის შესრულებისა და იძულებული ყოფილიყო მუდმივ ესწავლა, მაგალითად სიარული? ჩვენ ვიცი, რომ ახლად დაბადებულს სიარული არ შეუძლია და რომ ის თანდათანობით იკრებს ამ ჩვეულებას. მოზრდილი სრულიად შეუგნებლათ ასრულებს ამ მოძრაობას და ემსგავსება მანქანას. ბუნებამ ერთობ ბრძნულად დააწესა, როცა მოგვცა ჩვენ ჩვეულება, რომელიც ინახავს ჩვენს დროს და გვაძლევს ნებას დავხარჯოთ ჩვენი ძალა სხვა და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. უმთავრესი წარმოება ჩვენი ორგანიზმისა არის სუნთქვა, გულისცემა, საჭმლის მონელება, ჰაჭებისა და კანის გამონადენი. ყველა ეს სრულდება სრულიად მექანიკურად და ჩვენი ნების დამოუკიდებლად. ყველას ეს დიდათ გვიმსუბუქებს სიცოცხლეს და აყენებს მას მტკიცე ნიადაგზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მუდმივ განსაცდელში ჩავარდებოდა. და უბრალო დავიწყებით საშიშროება დაემუქრებოდა მას.

დავინახეთ რა, რომ უმთავრესი მუშაობა ჩვენი სხეულისა ხდება სრულიად მექანიკურად და რომ მის სწორ მოქმედებაზე დამყარებულია ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლე ხალხისა, უნებურად ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს, სასურველი იქნებოდა, მიგვებაძა ბუნებისათვის: დაგვეკმაყოფილებინა ის წესიერად და ეს წესიერება გაგვეხადა იმდენათ ჩვეულებრივად, რომ გარდაქცეულიყო ის საჭიროებათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სასარგებლო იქნებოდა კერძო პიროვნებისათვის და მთელი საზოგადოებისათვის

დღევანდელს დროში ძრიელ ბევრს მუშაობენ მაზე, რომ გააუმჯობესონ სხვა და სხვა მანქანები. გამომგონებელნი ესწრაფვიან მას, რომ აღნიშნულ სითბოს დახარჯვით უკეთესად მოიხმაროს მან თავისი ენერგია.

ადამიანის სხეული თავისთავად წარმოადგენს ერთობ რთულს მანქანას, და ანვითარებს დიდს სითბოს. რომელსაც ხარჯავს ნაწილს გასათბობლად და ნაწილს სასარგებლო შრომის საწარმოთ. უეჭველია, ის ენერგია, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი ღებულობს მასაზრდოებელ ნივთიერებიდან, შეიძლება გამოყენებულ იქმნას იმგვარად მრავალნაირად, როგორც მრავალნაირად ხმარობენ სითბოს მანქანაში განვითარებულ სათბობათ. მომქმედი ადამიანი, რომელიც ატარებს წესიერ ცხოვრებას გამოიყენებს მას გაცილებით უკეთ, საზოგადოების სარგებლობის აზრით, ვიდრე ზარმაცი და უწესო.

უკანასკნელი მიიღებს იმდენს საზრდოს, რასაც პირველი, მაგრამ გააკეთებს გაცილებით ნაკლებ სასარგებლო საქმეს, და დიდი ნაწილი ენერგიისა სრულიად უბრალოთ ეკარგება მას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის ხალხი, რომელშიაც უფრო მეტად განვითარებულია, სულიერი ძალა მეტი მომქმედი და მწარმოებელია. მან გაცილებით უფრო უკეთ იცის აღნიშნული საშვალების გამოყენება, ვიდრე მისმა ველურმა მოძმემ.

ამ გვარად მისი არსებობა უზრუნველ ყოფილია და მით ის ჩამდგარია უფრო მეტად დამოუკიდებელ მდგომარეობაში ყოველგვარი შემთხვევიდან. ჰიგიენურ ჩვეულების განვითარებას ხალხში იმ ჩვეულებას, რომელსაც შეუძლია ცალკე პიროვნების ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს ერთს არსებობითი საშუალებას მისი არსებობისას და უკეთესად მოხმარებისას თითეული ერთეულის ენერგიისას.

მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ის ხალხი უფრო მეტს დაუძლევლობას გამოიჩენს საარსებო ბრძოლაში, რომელიც უკეთესად და უფრო ეკონომიურად შესძლებს თა-

კაცებთან ერთად დიდი ბრწყინვალე რევოლიუციის სასარგებლოდ. ხოლო თავისუფალ დროს, ვით პირმშოს დედა თავს დასტრიალებდენ ქალთა კავშირს და სცდილობდენ მის გაძლიერებას

მათ ფული არ ქონდათ, საწევრო ფული 18 მ. მეტი არ შეუკრებიათ. საჭირო იყო ბინა ქალთა კლუბისთვის, მისი მოწყობა ქალთა კავშირის ბეჭედი და ქალთა სწორუფლებიანობის გამომთქმელი წმინდა დროშა.

ამისათვის გამგეობამ მოიწვია პატივცემული კატო მიქელაძე, რომელსაც თავისი პირადი „მე“ დავიწყებული აქვს ქალთა სწორუფლებიანობისათვის. პატივცემულმა ლექტორმა ქალმა ლექცია წაიკითხა, ხალხი ბევრი დაესწრო, შემოსული თანხის ნახევარი 80 მ. სამტრედიის ქალთა კავშირს გადასცა. შემდეგ გამგეობამ მოაწყო წარმოდგენა საღამოთი, რაიც დიდებულათ ჩატარდა და წმინდა შემოსავალი 495 მანეთი დასტოვა. ასე ამ რიგად დღეს სამტრედიის ქალთა კავშირის კასაში სხვა შეწირულებასთან ერთად ინახება 628 მანეთი.

ამ გამოსვლამ თავისი გავლენა იქონია და კვლავ ააწრიალა ქალთა უფლების მტერნი მამაკაცები. შეიქმნა ამა თუ იმ ორგანიზაციებში განურჩევლად პარტიისა განგაში, დაიწყო წამება. კვლავ პარტიიდან გაძევების დამუქრება, კვლავ ჯვარზე გაკვრა.

ეს მოსალოდნელი იყო და არის მამაკაცების მხრით, მაგრამ ამ სტრიქონების დამწერი ვწითლდები, როდესაც ორ დედაკაცის სამარცხვინო საქციელს გავითვალისწინებ.

პირველმა ორმა თავიდანვე ქ. სამტრედიაში ქალთა კავშირის სარძიკველის ჩაყრას ირონიულად შეხედა, უკანასკნელი ორი, დღეს უკვე ფეხმოდგმულ კავშირის ჩაქრობას ლამობს.

ვინ არიან ეს ქალბატონები? და რაყრია მათში?

ესმისთ კი, თუ რას ჩადიან?

სრულიად არაფერი!

მათ მოია თვოიას მეტი, არა რა გაეგებათ. მაგრამ მაინც დავეკითხოთ: რით დასჭირდათ გამგეობის წევრთან მისვლა და ქალთა კავშირის წევრების ჩამოწერა?

ქალბატონებო, ასეთს საქციელს ხომ დახავსებულ ძველი რეჟიმის დროს ჟანდარმერია იწეოდა და დღეს ამას თქვენ იმეორებთ? სად წაიღეთ სია? პარტიაში? რომ უფლებიან მამაკაცებს დააბეზღოთ თქვენი დები? ჰო, სირცხვილო სად არის შენი სიწითლე?!

ჩაგრულო დებო, დედებო თქვენთვის მომინდვია ამისანა ულირსი დების გასწორება. თქვენ შეგიძლიათ მათ მსჯავრი დასდოთ.

ღრმად უნდა გწამდეთ, რომ ამისანა გამოსვლა ვერა რას დაგაკლებთ. და მე კი ვიტყვი, რომ ეს გამოსვლები თქვენ უფრო შაგაკავშირებთ და მტერ მოყვარეს დაგანახვებთ.

ბოლოს მინდა გაუწყოთ, რომ ამ დღეებში ქ. სამტრედიის მუშა ჩაგრული დების წმინდა დროშაც აფრიალებდა შეუერთეთ მას თქვენი მჭექარე ხან კი ბულბულისებური ტკბილი ხმა.

მაშ წინ მუშა დებო, წყევლა და კრულვა მათ, რომელიც, თქვენს სამართლიანს ბრძოლას ხელ შეუშლის.

ვაუმარჯოს ქალთა სწორუფლიანობას!

ხელოს—ძმა.

ჟურნალ—გაზეთებიდან

ომი

სარგებლობს რა რუსეთის შინაური არეულობით მტრის ლაშქარი წინ მიიწევს.

ამერიკა ავსტრიას ომს უცხადებს

იტალიის კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნას ამერიკა გულგრილად არ უცქერის. ვაშინგტოგტნიდან იტყობინებიან, რომ ამერიკა მზადაა ყოველ მხრივ დახმარება აღმოუჩინოს იტალიას, რისთვისაც ავსტრიისადმი ომის მას გამოცხადება მოუხდება„ო.

ბოლშევიკების აჯანყება.

სარატოვში დიდი სროლა იყო ხმარობდენ ტყვიის მფრქვეველებსაც.

პეტროგრადიდან იტყობინებიან რომ კერენსკის პეტროგრადში ჯავშნიანი მატარებელი მიაშველონ.

ლენინის დეკრეტი

ლენინმა დეკრეტი გამოსცა და მოითხოვს, რომ მიწა ხალხის ხელში გადავიდეს.

10 მილიონის მოთხოვა

სახელმწიფო ბანკს ბოლშევიკებმა 10 მილიონი მოსთხოვეს!

სისასტიკე

პეტრეპავლეს ციხეში ბოლშევიკურმა მთავრობამ 3 იუნკერი დახვრიტა, რომელიც საზამთრო შენობას ხელში ჩაგდების დროს შეიპყრეს.

კიევის მდგომარეობა. ბოლშევიკება იარაღი გატაცეს მათსა და იუნკრებს შუა შეტაკება მოხდა. ბოლშევიკებს სასახლე დააცლევინეს და მათი ლიდერები შეიპყრეს.

მოსკოვი

მოსკოვის ქუჩებზე ბრძოლა სწარმეობდა. სახლების სახურავზე ბოლშევიკებმა ტყვიის ფრქვეელები დააწყვეს და მშვიდობიან მცხოვრებლებს უშინეს. გამარჯვება თავდაცვის კომიტეტისაკენ იხრება, მოლაპარიკება სწარმებს.

პეტროგრადი

ბოლშევიკების ხელში მხოლოდ პეტრეპავლეს ციხე და სმოლნი ინსტიტუტი დარჩა.

— დროებითი მთავრობის ცდა, რომ ჩაექროთ ბოლშევიკების გამოსვლა ამაოდ დარჩა. მთელი პეტროგრადი ბოლშევიკების ხელშია. სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ დროებითი მთავრობა გადამდგარია, და რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დღეიდან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელშია.

ტროცკიმ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში განაცხა-

ვისი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მტკიცე ჰიგიენური ჩვეულების შექმნით, რომელიც დაიფარავს მცხოვრებლებს გადაგვარებიდან, და თანაც იქნება ყოველგვარად უფრო მეტად მომქმედი და მწარმოებელი.

საკითხი თავის ძალ-ღონის უკეთესად გამოყენებისა დიდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანისათვის. ველურისათვის ფიზიკურ ღირსებას უდიდესი ფასი ჰქონდა. ძალა, სიმარდე, კარგი მხედველობა და სმენა ეხმარებოდა მას საზრდოს საპოვნელად და მტრისგან თავდასაფარავად. მაგრამ ეხლანდელს დროში შეცვლილი ცხოვრების პირობები მოითხოვენ ადამიანიდან უმეტესად პსიხიკური ძალ-ღონის დახარჯვას. ამისათვის ცივილიზაციური ხალხი უმთავრეს ყურადღებას აქცევს თავის სულიერი ძალთა განვითარებას. ამის მიხედვით სასურველია, რომ ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება გვართმევდეს ჩვენ რაც შეიძლება ნაკლებ დროსა და ძალას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა მაზე ზრუნვაც [illegible] იმდენათ გვმართებს რამდენათაც ის საჭიროა ჩვენი ტანმრთელობის შენარჩუნებისათვის. „კარგი მოსამსახურე მაგარი აგებულობის უნდა იყოს“ო,—ამბობს რუსო. სამწუხაროთ, გადაჭარბებული ზრუნვა გონებრივი ნიჭის განვითარებაზე შთანთქავს მთელს ყურადღებას მშობლებისას და აღმზრდელისას და ბავშის სხეული რჩება უყურადღებოთ. ამისათვის ჩვენ ყველგან ვხედავთ, რომ დედას არას ოდეს არ ავიწყდება ჰკითხოს ბავშს ისწავლა მან თუ არა გაკვეთილი და მოინდომებს შეასრულებინოს მას ეს მოვალეობა. მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ის მოთხოვს ბავშვს შეასრულოს უკანასკნელმა მოვალეობა თავის სხეულისადმი. მოწაფეს ხშირად აჯენენ გაკვეთილის მოსამზადებლად, მაგრამ იშვიათად მოითხოვენ მისგან, რომ მან ივარჯიშოს წმინდა ჰაერზე, თავის დროზე დაიძინოს და სჭამოს. შედეგი ასეთი აღზრდისა იძლევა ორგანიზმის სისუსტეს და თანაც ცუდ წარმატებას მეცნიერებაში.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მოწაფეთა გადაღლილობაში უმთავრეს როლს ფიზიკური ცხოვრების უწეს-რიგობა თამაშობს.

ეხლანდელს დროში ბავშის ფიზიკურ ვარჯიშობას უდიდეს ყურადღებას აქცევენ და მისგან მოელიან სასკოლო გადაღლილობიდან თავის დახსნას.

რასაკვირველია, წმინდა ჰაერზე მოძრაობა დიდათ აცხოველებს ორგანიზმს, რომ დიდი დაგროვება მჟავბადისა სისხლში აძლევს მას მეტს ენერგიას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარტო ერთი ფიზიკური ვარჯიშობა ვერ მოსპობს გადაღლილობას. უწესო ჩვეულებანი აიძულებს მოწაფეს სჭამოს საუზმის ნაცვლად ტკბილეულობა, რომლის გამო სადილის დროს ის უარსა ჰყოფს ნოყიერი საჭმლის მიღებას. სვამს მაგარ ჩაის საღამოს, იძინებს გვიან. თუმცა სახეში აქვს, რომ დილით ადრე უნდა ადგეს ცუდათ მომზადებული გაკვეთილების გასამეორებლად და სხვა. შეუძლებელია იმისი უარისყოფა, რომ ასეთი ცხოვრება ბავშისა ამახვრევს მის ორგანიზმს.

გონებრივი და ფიზიკური შრომა მოითხოვს სხეულიდან ხარჯს, რომელიც ჯილდოვდება ძალითა და საზრდოებით. თუ რომ უკანასკნელთა წესიერი მიღება დაუდევარია, მაშინ ვერც ბავშის სხეული და ტვინი იმუშავებს კარგათ. სკოლის გადაღლილობა მარტო ერთი ფიზიკური ვარჯიშობით არ გაქრება. ამისათვის საჭიროა სადი ჩვეულების განვითარება.

წესიერი ჩვეულება, უეჭველია, უადვილებს ოჯახს ცხოვრებას. თუ ჩვენ დავაკვირდებით იმ ოჯახებს, სადაც ასეთი არ არსებობს, დედისა და მოსამსახურის ცხოვრება ჩვენ ჯოჯოხეთად მოგვეჩვენება. ყველანი იღვიძებენ და დგებიან სხვა და სხვა დროს: ერთი დგება 8 საათზე, მეორე 9-ზე, მესამე 10-ზე და სხვა დ სხ.

მთელი დილა დედასა და მოსამსახურეს ეკარგება ბავშების ჩაცმაზე და გამოკვებაზე. უდროთ საჭმელის მოთხოვა და მისი დაკმაყოფილება. შემდეგ სადილობა არეულად, ჩაის სმა და დაძინება. ერთი სიტყვით, მთელი დღე გადის იმაში, რომ დააკმაყოფილონ მოთხოვნილება ბავშებისა. დაღამებამდის ისენი არა ერთხელ აღელვებულან და გაჯავრებიათ ბავშებს და საღამოს კი სრულიად დაიქანცნენ. მაგრამ ამაში დამნაშავენი არა ბავშები, არამედ მშობლებია, რომლებმაც არ იზრუნვენ, რომ მიეცათ მათთვის უკეთესი აღზრდა.

ვერავინ ვერ უარყოფს მას, რომ ავათმყოფი და ხარმაცი ხალხის არსებობა დიდს ტვირთად აწევს თავზე საზოგადოებას. ჩვენ გაცილებით უფრო მოსვენებული და ბედნიერი ვიქნებოდით, რომ მათი რიცხვი შემცირდეს.

ჩვენ ვიხდით დიდს ხარჯებს საავათმყოფოებზე, წამლებზე, და თავშესაფარზე და ბოლოს და ბოლოს მაინც ვხედავთ, რომ დიდი უმრავლესობა დაკმაყოფილებული არ არის. ჩივილი სიღარიბისა მოითხოვს მეტსა და მეტს ხარჯებს მათ საშველად. მაგრამ საზოგადოება მაინც ვერ ერევა მას და ძალა-უნებურად ურიგდება ის დიდათ სამწუხარო მოვლენებს.

ხალხი, რომელიც უნიჭოა ნაყოფიერი შრომისათვის ჩნდება არა მარტო უკეთური პიროვნებისა გამო, რომლის შეცვლა მათ ვერ შესძლეს, არამედ საკუთარი თავის დაუდევრობითაც. პირადი სიბინძურე ხშირად აჩენს მძიმე ავათმყოფობას, ჩვენი თავ-დაუჯერლობა სმაში და ჭამაში შლის ჩვენს ტანმრთელობას. ფიზიკური უვარჯიშობა ხელს უშლის ახალგაზრდა ორგანიზმის განვითარებას და სხვა და სხვა.

ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენ ვხვდებით იმის დამამტკიცებელს ფაქტებს, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ხელით ვამსხვრევთ ჩვენს ტანმრთელობას.

და ამაში უმთავრეს როლს თამაშობს უქონლობა სადი და კარგი ჩვეულებისა, რომელიც გვაიძულებს ზრუნვას ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილების წესიერად დაკმაყოფილებაზე.

(შემდეგი იქნება).

და, რომ დღეიდან ახალი მთავრობა არ არსებობს, რომ ნაწილი მინისტრებისა დატყვევებულია და დანარჩენებსაც მახლობელ დღეებში დაატუსაღებენ. ამ დროს შემოდის ლენინი, რომელსაც ოვაციით შეხვდებიან. ლენინმა მოხსენება გააკეთა, რომ რევოლიუცია, რომელზედაც ბოლშევიკები ლაპარაკობდენ, უკვე მოხდენილია. რომ ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი ძირიანათ ამოგდებულია. დღეიდან მოხელეების ადგილს დაიჭერენ საბჭოები. და ხალხი იქნება არა მარტო კანონმდებელი, არამედ ყოველდღიური მმართველი. პირველი მორიგი საკითხი არის ომის დაუყონებლივ დასრულება. ამისათვის საჭირო კაპიტალის დამარცხება და და ამაში ჩვენ დაგვეხმარება, აუწყებს საბჭოს ლენინი, იტალიის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობა. სამართლიანი დემოკრატიული ზავი, რომელსაც ჩვენ მივაწოდებთ ქვეყანას, იპოვნის მხურვალე გამოხმაურებას საერთაშორისო პროლეტარიატთა მასსაში.(?)

ასეთი ნდობის მოპოვებისათვის ჩვენ დაუყონებლივ გამოვაქვეყნებთ ყველა საიდუმლო ხელშეკრულებებს. გლეხთა ნდობას დავიმსახურებთ იმ დეკრეტით, რომლის ძალით მათ გარდაეცემათ მემამულეების მიწები. ჩვენ დავაწესებთ ნამდვილს მუშათა კანტროლს წარმოებაზე. ჩვენი ძალა მასიურ ორგანიზაციებისა მიიყვანს პროლეტარიატს მსოფლიო რევოლიუციამდე. ჩვენ უნდა შევუდგეთ პროლეტარიატის სოციალისტურ სახელმწიფოს მოწყობას რუსეთში. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას“.

ტროცკიმ განაცხადა, რომ გაიგზავნოს დელეგატები ფრონტზე და უხსნან მათ აზრი იმისა, რაც პეტროგრადში ხდება.

ქუჩებში.

ქუჩებში ბარიკადებია ამართული. ხდა შეტაკება. ბოლშევიკებმა დაიჭირეს საზამთრო სასახლე. სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა თავისი შტაბი გერმანელთა ეკლესიის უკან ეზოში მოაწყვეს ნევის პროსპექტზე.

ბურცევის დაჭერა.

მეზღვაურებმა „Общее дѣло“ს რედაქციაში გაჩხრეკა მოახდინეს და ბურცევი დაატყვევეს.

კორნილოვის გაქცევა.

ბიხოვიდან სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს აუწყებენ კორნილოვის გაქცევას.

ელჩები.

სხვა და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელნი რუსეთის დატოვებას აპირებენ.

— **იტალიის სამეურნეო სამინისტრომ** გადასწყვიტა დააჯილდოვოს ის ქალები მედლით, რომლებმაც სასოფლო მეურნეობაში შეასრულეს მამაკაცების მაგიერობა. რაოდენიმე ქალმა მიიღო ხარისხი სამოქალაქო ინჟინერისა რომაელ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისა.

— **საფრანგეთის სამეურნეო მინისტრმა** ნება დართო ქალებს აგრონომიულ ინსტიტუტში შესვლისა, იმავე უფლებით, როგორც ვაჟებს.

ახალი ამბავი.

✖ **ქალაქის თვითმართველობაში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შესდგება ქალაქის საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე სხვათა შორის გაირჩევა საკითხი შრომის ბირჟის დაარსების შესახებ.

✖ **სურსათი.** გუშინ ქუთაისის ბაზარე ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობდა 13 მანათად ლომი კი 30 მანათად.

ქუთაისი.

ქ-ნ კორძაიას ქალის კერძო გიმნაზიაში მომხდარ კომფლიკტის გარშემო. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კორძაიას ქალმა რამდენიმე მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა იმისთვის, რომ მათ (მასწავლებმა) ჯამაგირების მომატება მოსთხოვეს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა კავშირმა. ამ საქმის გამოსარკვევათ არჩეული იყო საგანგებო კომისია მასწავლებლებიდან. ამ კომისიამ 1 ნოემბერს დასავლეთ საქართველო საშვალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის სხდომას დასამტკიცებლათ წარუდგინა შემდეგი დადგენილება: კორძაიას ქალის სასწავლებლიდან დათხოვნილ მასწავლებლებს, რადგანაც მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნილების გამო იქმნენ დათხოვნილი, დაუბრუნდეთ მათ თავისი ადგილები და მათი ყოველივე მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნეს, ხოლო ეს სასწავლებელი გადავიდეს ან ქალაქის თვითმართველობის ხელში ან და მასწავლებელთა კავშირის განკარგულებაში, იმ პირობით, რომ კორძაიას ქალი დარჩეს ამ სასწავლებლის საპატიო წევრათ.

✖ **ახალი ჟურნალი**· ამ დღეებში ახალგაზდა მგოსანთა, ერთი ჯგუფის მეთაურობით გამოვა ახალი ჟურნალი **„აისი“**

✖ **კაბარე**. პარასკევს, 3 ნოემბერს „ფინჯან ჩაი„ში“ **ცისფერმა მგოსნებმა** პაოლო იაშვილმა, ლადო მაჭავარიანმა, ნიკო ლორთქიფანიძემ და კოლაუ ნადირაძემ ექსპრომტათ ლექსები **წაიკითხეს**.

დეკაბრისტების პროცესი და მათი ცხოვრება ციმბირში.

უმაღლესმა საოლქო სასამართლომ სულ 121 კაცი გაასამართლა, მათ რიცხვში 61 ჩრდილოეთის საზოგადოების წევრი: 37 — სამხრეთისა, 23 — შეერთებულ სლავთა საზოგადოებისა. ამათში 5-ს მიუსაჯეს სიკვდილით სასჯელი, 17-ს უვადოთ კატორგა, 16-ს ოცი წლის კატორგა, 11-ს 12 წლის და 1-ს ათი წლის კატორგა.

მხოლოდ 11 კაცი აცდა ციმბირს, რომლებიც გ ასალდათეს. ტურგენევმა მოახერხა საზღვარ გარედ გასვლა. ადვილათ განთავისუფლდა გენერალი ორლოვი. ნახევარი წლით სიმაგრეში ჯდომით და სამსახურიდან დათხოვნით.

გერცენის სიტყვით, „თუ ის არ წავიდა ციმბირში, ეს იყო არა მისი ბრალი, არამედ მისი ძმისა“.

ა. ფ. ორლოვმა მაშინ ამოარჩია დრო რომ ეშუამდგომლა ძმისთვის, როცა ხელმწიფე საზიარებლად მიდიოდა. პირველად იმპერატორმა უარი განუცხადა მას, მაგრამ ა. ფ. ორლოვი მაინც თხოვდა და ევედრებოდა მას: პირდებოდა მთელი თავისი სიცოცხლის განწირვას მისთვის, თუ რომ ის მის ძმას აპატიებდა და ბოლოს იმპერატორიც დასთანხმდა.

დეკაბრისტები გაგზავნეს კატორგაში ნაწილ-ნაწილად. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ მთელი ხალხის სიმპატია მათ მხარეზე იყო. ხალხი მათ იბრალებდა და და ხელს უწყობდა. უკანასკნელი გრძნობდა, რომ წამებულნი ხანგრძლივ სატანჯველად იგზავნებოდენ. მრავალი ფაქტები მოწმობს ხალხის მათდამი თანაგრძნობას.

პლაც-ადიუტანტი სიმაგრისა და სამხედრო მინისტრის ადიუტანტი ვალდებულნი იყვნენ, რომ თვალყური ედევნებინათ ტყვეებისათვის, რომ მათ არ ჰქონოდათ თან ფული; და ამ ფულს თვით აძლევენ მათ, რომლებიც ჭირისუფლებმა მათ მიაბარეს და თანაც თავის საკუთარსაც. განსაკუთრებით თანაგრძნობით მათ ექცეოდენ საყარაულო ჯარის-კაცები. ერთმა აფიცერმა, რომელიც ყარაულებს კამანდრობდა, მათ მიაწოდა 2000 მანეთი იმ აზრით, რომ მოეწყოთ გაქცევა, მაგრამ დეკაბრისტებმა უარი განაცხადეს.

ფელდ-ეგერი და ჟანდარმები, ისე კარგათ ექცეოდენ მათ, რომ ღამე ხსნიდენ ფეხზე ბორკილებს, ემსახურებოდენ მზარეულათ, და მიყავდათ ისინი მემამულეებთან სტუმრად ვიატკისა და პერმის გუბერნიაში.

იაროსლავში დეკაბრისტების გავლის დროს, მოედანზე მოიყარა ხალხმა თავი. მთავრობა ზომების მიღებას შეუდგა; სასტუმროსთან, სადაც ტყვეები შეაჩერეს სასადილოთ, დააყენეს ჟანდარმები შიშველი ხმლებით. დეკაბრისტები ჩააჯინეს დახურულ მარხილებში და დაიძრა მარხილები, თუ არა ბრბომ ქუდები მოიხადა.

თვით მოხელეები შედიოდენ მათ მდგომარეობაში. ტობოლსკის გუბერნატორმა ბანტიშ კამენსკიმ მისცა მათ ორი კვირით დასვენების ნება. გამოკითხა მათ თავიანთი გაჭირვება და შთააგონა მხლებლებს: „მიიღეთ ტყვეები, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენ საქმე გაქვთ კეთილად აღზრდილ ხალხთან“ო.

ტობოლსკის პოლიცმეისტერმა პირადათ გაუმასპინძლდა მათ, აგრეთვე ტარსკის პოლიცმეისტერმა და კრასნოიარის გუბერნატორმა სტეპანოვმა. ვაჭრები ცდილობდენ მიეღოთ პატივი და მიეწოდებინათ მათთვის საზრდო.

ფართო გულგახსნით უმასპინძლებოდენ მათ, აჩუქებდენ მათვის აპანოებს, და სამგზავროთ აწვდიდენ ღვინოსა და საუზმეს.

ირკუტსკში ვიღაც მოხელემ გუბერნატორის კანცელარიისამ ცრემლებით შეევედრა ოთხს დეკაბრისტს მიეღოთ მისგან 25 მანეთი.

კაინსკში გოროდნიჩი შეხვდა მათ ორი კაცის თანახლებით, რომლებსაც ეჭირათ ღვინით და სხვა და სხვა სანოვაგით დატვირთული კალათები და გულმხურვალეთ სთხოვდა მიეღოთ მისგან ფული: „თუ ღმერთი გწამთ, წაიღეთ! მიშოვნია არა მთლათ პატიოსანი შრომით—ქრთამით! წაიღეთ! სინიდისი აღარ დამამძიმებს!“

პირველად გაგზავნეს ციმბირში: თავადი ევგენი ივანეს ძე ობოლენსკი, ა. ი. იაკუბოვიჩი, არტ. ზაქ. მურავიოვი და ვ. ლ. დავიდოვი. 11 დღის შემდეგ გაგზავნეს: თავადი ს. გრ. ვოლკონსკი, თავადი სერ. პეტ. ტრუბეცკოი და ძმები ბორისოვები. ობოლენსკი და იაკუბოვიჩი გაგზავნეს მარილის მხარშველ სახაზინო ქარხანაში, რომელიც მდებარეობს 68 ვერსტის მანძილზე ირკუტსკიდან. მურავიოვი, დავიდოვი და ბორისოვები ალექსანდროვსკის ღვინის ქარხანაში. ეს ადგილიც ახლოა ირკუტსკთან. ტრუბეცკოი და ვოლკონსკი ნიკოლაევის საღვინე ქარხანაში.

ციხის დარაჯნი დანარჩენებს ნებას აძლევდენ ეცხოვრათ თავისუფალ ბინებზე, მათ არ ურევდენ ბოროტმოქმედთან, მაგრამ გადასახლებულნი მაინც გრძნობდენ უხილავ პოლიციის თვალს, რომელიც ჩვიმათ მათ უთვალთვალებდა.

მთავრობა ციხისა არა, თუ არ ავიწროებდა მათ, არამედ ანთავისუფლებდა კიდეც მუშაობიდან.

ხმა მაღლა უბრძანებდენ მათ შეშის დაჭრას და ყურში კი გამოუცხადებდენ, რომ ისინი წავლენ ტყეში სასეირნოთ. ეს რბილი რეჟიმი მალე შეიცვალა მათვის.

რაოდენიმე თვის შემდეგ, რაც ტყვეები ციმბირში ჩამოვიდენ, ყველა ეს 8 კაცი ხელახლა წაიყვანეს ირკუტსკში და იქიდან უმაღლესი მთავრობის განკარგულებით გაგზავნეს ნერჩინსკის მაღაროებში, ბაიკალით. ერთი ნაწილი გაგზავნეს ტბით, მეორენი-კი ეგრეთ წოდებული ზღვის ირგვლივ ხმელი გზით.

ისინი ჩამარხეს ბლაგოდატსკის მაღაროებში. აქ მათ საწამებლად მომზადებული იყო ახალი კაზარმა. ის შესდგებოდა შესავალით, რომელშიაც იდგენ დარაჯები და დიდი ქოხით, რუსული ფეჩით, ეს ქოხი გაყოფილი იყო ფიცრებით სამ ნაწილად, რომელშიაც მოძრაობა ოდნავ ხერხდებოდა. კბენარნი თავიდან ფეხებამდე ესეოდა მათ. რომ თავი დაეფარათ მათგან, ტყვეები შეუდგენ სკიპიდარით ტანის ზელას, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამწარა ისინი: ტანი ეწოდათ, საიდანაც კანი ნაფლეტებათ სკვივოდა.

სამი დღის შემდეგ ისინი გაანაწილეს სამუშაოთ შახტებში და თითეულ მათგანს მისცეს ამხანაგათ და ხელმძღვანელათ კატორგაში განწესებული ბოროტ მოქმედი. მუშაობა იწყებოდა დილის 5 საათზე და თავდებოდა 11 საათზე, როცა იწყებდენ სადილის მზადებას. არტელჩიკათ ამორჩეული იყო იაკუბოვიჩი, როგორც უფრო გამოცდილი სამხედრო სამზარეულო ნაწილში, მხოლოთ საღამოობით იყვნენ ისინი შედარებით თავისუფალნი.

(შემდეგი იქნება).